განკარგულება:**g-49. 492533210**
თარიღი:**28/11/2025**

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ბავშვთა და ახალგაზრდობის ცენტრი“-ს მიერ 2025 წლის I-II კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულომ მოისმინა ანგარიში, ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ბავშვთა და ახალგაზრდობის ცენტრი“-ს მიერ 2025 წლის I-II კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ.

აღინიშნა, რომ წარმოდგენილი ანგარიში შესაბამისობაშია კანონმდებლობასთან და სათანადო დებულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ორგანული კანონის `ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის~ 61-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 ნოემბრის N36 დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტის 25–ე მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის შესაბამისად:

1. დამტკიცდეს ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ბავშვთა და ახალგაზრდობის ცენტრი~-ს ანგარიში 2025 წლის I-II კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ (დანართი თან ერთვის) .
2. ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ბავშვთა და ახალგაზრდობის ცენტრი~-ს მიერ 2025 წლის I-II კვარტალში გაწეული მუშაობა შეფასდეს დადებითად.
3. განკარგულება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ქუთაისი, კუპრაძის ქ. №11).

თეიმურაზი ჭეიშვილი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

დანართი № 1

ანგარიში

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ბავშვთა და ახალგაზრდობის ცენტრი“-ს მიერ 2025 წლის I-II კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ

ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ბავშვთა და ახალგაზრდობის ცენტრი“, დაფუძნებულია ზოგადსაგანმანათლებლო ინტერესებზე, რომელშიც გაერთიანებულია: მოსწავლე–ახალგაზრდობის სახლი, თეიმურაზ კობახიძის სახელობის სამუსიკო სკოლა და სამხატვრო სკოლა. ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ბავშვთა და ახალგაზრდობის ცენტრში ფუნქციონირებად ყველა წრეში სწავლება უფასოა. ა(ა)იპ ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ბავშვთა და ახალგაზრდობის ცენტრი“ ფინანსდება მუნიციპალიტეტის მიერ 100%-ით.

ცენტრის საქმიანობის ძირითადი მიზანი და მიმართულებებია: ქალაქის ახალგაზრდობის ინტელექტუალური, შემოქმედებითი, სულიერი და ფიზიკური პოტენციალის გამოვლენა. ბავშვებისა და ახალგაზრდების გონებრივ, ფიზიკურ, ზნეობრივ, ესთეტიკურ და სოციალურ-ემოციურ განვითარებაზე ზრუნვა, ხელოვნებასთან ზიარებით პიროვნების ინდივიდუალური, შემოქმედებითი მიდრეკილებების განვითარების ხელშეწყობა, კულტურული მემკვიდრეობის შესწავლა და ამ გზით მისი შენარჩუნება, მოსწავლეებისთვის დაწყებითი სამხატვრო და სამუსიკო განათლების მიცემა. ეს სწორედ ის პრიორიტეტებია, რომელსაც ეყრდნობა ჩვენი საქმიანობა.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ „ბავშვთა და ახალგაზრდობის ცენტრის”: მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის, სამუსიკო და სამხატვრო სკოლების მუშაობაში წარმატებულად დაინერგა მრავალფეროვანი აქტივობები: კონკურსები, გამოფენები, ფესტივალები, სასწავლო-შემოქმედებითი კონფერენციები, სპორტული შეჯიბრებები, შეხვედრები გამოჩენილ საზოგადო მოღვაწეებთან.

ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ბავშვთა და ახალგაზრდობის ცენტრში“ 2025 წლის 6 თვის საანგარიშო პერიოდისთვის ირიცხებოდა- 679 მოსწავლე.

ცენტრის მიზნებიდან გამომდინარე 2025 წლის 6 თვის საანგარიშო პერიოდში განხორციელდა სოციალურ-კულტურულ საგანმანათლებლო პროგრამები, სადაც მონაწილეობა მიიღო ცენტრში ჩარიცხულმა გოგონებმა - ვაჟებმა.

მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი

მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი ახალგაზრდობის აღზრდისა და განვითარების კომპლექსური დაწესებულებაა, რომელიც ახორციელებს მიზნობრივ სოციალურ-კულტურულ საგანმანათლებლო პროგრამებს, მეცადინეობა მიმდინარეობს სპეციალურად შემუშავებული სასწავლო გეგმისა და პროგრამების მიხედვით.

საანგარიშო პერიოდში მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლში განხორციელდა და მონაწილეობა მიიღო

ღონისძიება-კონკურსებში:

1 იანვარს - საახალწლო მიუზიკლი ,,ნაძვის ხის სათამაშოები". მონაწილეობა მიიღო: საბავშვო თეატრის მოყვარულთა წრემ და ვოკალის წრემ (ხელ-ლი: ქ. ანდრიაძე, ხ.ბუაძე,) ს/დ ,,ივერია“ . მონაწილეობას იღებდა 68 გოგო და 22- ბიჭი.

8-12 იანვარს - ქ. ქუთაისის მაია ჩიბურდანიძის სახელობის საჭადრაკო სკოლაში ჩატარდა, იმერეთის ღია საკვალიფიკაციო და რაპიდ ტურნირი. სადაც მონაწილეობა მიიღო მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის ჭადრაკის წრის (ხელ-ლი: ალეკო გოლეთიანი) მოსწავლეებმა. მონაწილეობას იღებდა 6 ბიჭი. შედეგები ასეთია: უთანრიგო დიდები:

ილია არდანიანი - შვიდიდან IVქულა. ნიკა ჩაკვეტაძე -IVქულა.

მეხუთე თანრიგოსანი : სანდრო ბოდოკია შვიდიდან 5,5 ქულა IV

ადგილი. თამაზი ტყაბლაძე (Vქულა)Vადგილი.

ნოე ჩაკვეტაძე (IV ქულა). გაბრიელ კიკვიძე (II

ქულა).

რაპიდ ტურნირი: ჭადრაკის წრის ხელმძღვანელმა ალეკო გოლეთიანმა VII შესაძლებლობიდან (V ქულა) III ადგილი მოიპოვა.

26, 27, 28 იანვარს - ბორჯომ-ბაკურიანში საქართველოს კულტურის, სპორტის, განათლების და ძეგლთა დაცვის მოღვაწეთა კავშირი, „საქართველოს ეროვნული ფილარმონია“ სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონალური ფილიალის ხელმძღვანელობით ჩატარდა ყოველწლიური ფესტივალი "ფანტაზია" 2025. აღნიშნულ ფესტივალში მონაწილეობდა მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის ვოკალის წრე (ხელ-ლი: ხათუნა ბუაძე) ფესტივალის მიზანი იყო კულტურისა და ხელოვნების განვითარება-პოპულარიზაცია. დასასრულს საპატიო დიპლომებითა და საჩუქრებით დაჯილდოვდნენ. მონაწილეობას იღებდა 16 გოგო და 9- ბიჭი.

16 თებერვალს - საქართველოს კულტურის, სპორტის, განათლების და ძეგლთა დაცვის მოღვაწეთა კავშირი, „საქართველოს ეროვნული ფილარმონია“ სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონალურმა ფილიალმა აწყურის კულტურის სახლში გამართა საერთაშორისო ფესტივალი „ჰარირა-2025“.

ფესტივალში მონაწილეობა მიიღო მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის ხალხურ საკრავთა წრემ (ხელ-ლი: თეიმურაზ თევზაძე). საუკეთესეო შესრულებისათვის ანსამბლ „ნაკადულს“ მიენიჭა ლაურეატის წოდება. დასასრულს კი ისინი საპატიო დიპლომებითა და საჩუქრებით დაჯილდოვდნენ.

მონაწილეობას იღებდა: 16 გოგო 10 ბიჭი

4 მარტს - მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლში პრემიერა შედგა. თეატრის მოყვარულთა და ვოკალის წრის წევრებმა (ხელ-ლი: ქეთევან ანდრიაძე, ხათუნა ბუაძე) წარმოადგინეს გ. მაისურაძის პიესა „ბიბლიოთეკის ტყვეობაში“. მონაწილეობას იღებდა: 25 გოგო და 18 ბიჭი.

6 მარტს - მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის ინგლისური ენის წრეში (ხელ-ლი: თამთა თუთბერიძე) ჩატარდა საწრეო მეცადინეობა თემაზე: "დედის დღე". მონაწილეობას იღებდა: 13 ბიჭი და 12 გოგო.

21 მარტს - წყალტუბოში, სასტუმრო "პრომეთეს" საკონფერენციო დარბაზში, წყლის რესურსების დაცვის საერთაშორისო დღე საინტერესო ღონისძიებით აღინიშნა.

პრეზენტაცია მომზადდა მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის ეკოლოგიის წრის (ხელ-ლი: ცირა ბერეკაშვილი) მოსწავლეების ჩართულობით. მონაწილება მიიღო: 6 ბიჭი 17 გოგო.

3-4 მაისს - ქალაქ ქუთაისში "ქუთაისობისა" და "გვირილობის" სადღესასწაულო ღონისძიებათა ფარგლებში, ჩატარდა სახალხო საერთაშორისო ფესტივალი „მოგზაურობა დროში“. აღნიშნულ ფესტივალში მონაწილეობა მიიღო მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის ხალხურ საკრავთა წრემ. (ხელ-ლი: თეიმურაზ თევზაძე). ჩვენმა ანსამბლმა საყოველთაო მოწონება დაიმსახურა. ისინი საპატიო დიპლომებით და საჩუქრებით დაჯილდოვდნენ. მონაწილეობას იღებდა: 16 გოგო 10 ბიჭი.

6 მაისს - მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის საბავშვო თეატრის მოყვარულთა წრის (ხელლი: ქეთევან ანდრიაძე) წევრებმა გიორგობის ბრწყინვალე დღესასწაული მხატვრული კითხვის კონკურსით აღნიშნეს. მონაწილეობას იღებდა: 4 ბიჭი და 13 გოგო.

11 მაისს - ქ. ჭიათურაში ჩატარდა ღია ჩემპიონატი „ტაეკვონდოში“, რაშიც მონაწილეობა მიიღო ტაეკვონდოს წრის (ხელ-ლი: ზურაბ სალუქვაძე) 9 სპორტსმენმა. აქედან 3 გოგო 6 ბიჭი. შედეგები ასეთია:

ანდრია ჩაკვეტაია-I ადგილი, ანდრია მაღლაფერიძე- I ადგილი, გიორგი ლექვთაძე- I ადგილი, ანასტასია მაღლაფერიძე- I ადგილი, ანა ჯანელიძე- I ადგილი, გაბრიელი ჩაკვეტაია- II ადგილი, ლუკა შვანგირაძე- II ადგილი, საბა კილაძე- II ადგილი, მარიამი აფხაძე- II ადგილი.

14 მაისს - მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის ეკოლოგიის წრის მოსწავლეებმა და პედაგოგმა, ცირა ბერეკაშვილმა, მონაწილეობა მიიღო პროექტის - "ადამიანი გაჭირვებაში" ფარგლებში მოწყობილ აქტივობებში. LAG წყალტუბოს ინიციატივით, სურსათის ნარჩენების შემცირების კამპანიის ფარგლებში, მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის ეკოლოგიის წრის მოსწავლეებმა სხვადასხვა პრაქტიკულ და შემეცნებით აქტივობაში მიიღეს მონაწილეობა. მონაწილეობას იღებდა: 6 ბიჭი 17 გოგო

21 მაისს - ხალხურ საკრავთა წრის ანსამბლი „ნაკადული“ (ხელ-ლი: თეიმურაზ თევზაძე) იმყოფებოდა ქ. თბილისში, პოს TV-ის დღის გადაცემაში. სადაც მონაწილეობას იღებდა 16 გოგო 10 ბიჭი

22 მაისს - მსოფლიო ბიომრავალფეროვნების დღესთან (22 მაისი) დაკავშირებით ეკოლოგიის წრემ (ხელ-ლი: ცირა ბერეკაშვილი) განახორციელა გასვლითი საწრეო მეცადინეობა აჭარის დაცულ ტერიტორიებზე. მონაწილეობას იღებდა: 6 ბიჭი 17 გოგო.

23 მაისს - მათემატიკის წრეში ჩატარდა შემაჯამებელი გაკვეთილი ,,ინტელექტუალური შეჯიბრი." მონაწილეობას იღებდა 10 ბიჭი 15 გოგო.

26 მაისს - ხალხურ საკრავთა წრემ (ხელ-ლი: თეიმურაზ თევზაძე) და ტაეკვონდოს წრემ (ხელ-ლი: ზურაბ სალუქვაძე) მიიღო მონაწილეობა დამოუკიდებლობის დღისამი მიძღვნილ ღონისძიებაში. მონაწილეობას იღებდა 16 ბიჭი 19 გოგო.

28 მაისს - ინგლისური ენის წრეში (ხელ-ლი: თამთა თუთბერიძე) ჩატარდა შემაჯამებელი გაკვეთილი. მონაწილეობას იღებდა: 10 გოგო 10 ბიჭი

29 მაისს - სოფ. მაღლაკში ამაღლების ბრწყინვალე დღესასწაულთან დაკავშირებით სახალხო ზეიმი გაიმართა, სადაც მონაწილეობა მიიღო ვოკალის, საბ.თეატრის მოყვარულთა და ხალხურ საკრავთა წრეებმა (ხელ-ლი: ხათუნა ბუაძე, ქეთევან ანდრიაძე, თეიმურაზ თევზაძე) მონაწილეობას იღებდა: 31 გოგო 11 ბიჭი.

1 ივნისს - ბავშვთა დღესთან დაკავშირებით ღონისძიება ს/დ ივერიაში მონაწილეობა მიიღო საბ, თეატრის მოყვარულთა, ვოკალის და ბალეტის წრეებმა (ხელ-ლი: ქეთინო ანდრიაძე ხათუნა ბუაძე და ნათელა ცერცვაძე) ასევე გამოფენა მოაწყო ხელმარჯვეთა წრემ (ხელ-ლი: ტასო ხახნელიძე) მონაწილეობას იღებდა: 48 გოგო და 18 ბიჭი.

19 ივნისს - ქ. მცხეთა ფესტივალი ,,ქორერა"- ში მიიღო მონაწილეობა ქორეოგრაფიის წრემ. (ხელ-ლი: რიმა მარგიანი, მართა იოსელიანი) ანსამბლი ,,იალონი". მონაწილეობა მიიღი 8 გოგომ.

25 ივნისს - მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლში ჩატარდა პედაგოგიური საბჭო.

26 ივნისს - ქ. ბათუმი, გასვლითი შემოქმედებითი გაკვეთილი (კლიპი გადაიღო) ჩაატარა ვოკალის წრემ (ხელ-ლი: ხათუნა ბუაძე) მონაწილეობა მიიღო 12-მა გოგომ.

მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის წრეებში 2025 წლის მდგომარეობით ჩარიცხულია 397 მოსწავლე, მათ შორის 244 გოგო და 153 ბიჭი.

სამუსიკო სკოლა

სამუსიკო სკოლა მიზანმიმართულად ემსახურება განსაკუთრებული ნიჭით დაჯილოვებულ მოსწავლეთა აღზრდა-გამოვლენას. სამუსიკო სკოლაში მოსწავლე იღებს დაწყებით მუსიკალურ განათლებას, ვახდენთ მათ პოპულარიზაციას, რაც გამოიხატება მოსწავლეთა მონაწილეობით რესპუბლიკის მასშტაბით სხვადასხვა ფესტივალ- კონკურსებში.

სამუსიკო სკოლაში სასწავლო წლის ბოლოს ირიცხება 174 მოსწავლე აქედან 103 მოსწავლე საფორტეპიანოზე, 19 მოსწავლე ვოკალურზე, 12 მოსწავლე ვიოლინოს კლასში და 40 მოსწავლე ფილკლორულ ანსამბლში

7 მარტს სამუსიკო სკოლაში ჩატარდა ბიჭუნების კონცერტი, რომელშიც 17 ვაჟმა მიიღო მონაწილეობა. მათ საკონცერტო ნომრებით მიულოცეს ქალბატონებს ქალთა დღე.

17- 21 მარტს ჩატარდა ი.ს. ბახის სახელობის მე- 8 ეროვნული კონკურსი.სამუსიკო სკოლიდან მონაწილეობდნენ სულ 7 მოსწავლე აქედან 4 გოგონა და 3 ვაჟი.ესენია: ლუკა კაჭკაჭიშვილი (პედაგოგი ნინო ვარძელაშვილი, კონცერტმაისტერი ნათია ტუკვაძე) ილია და ბარბარე მეშველიანები (პედაგოგი დალი ბაკურაძე) თეკლა კაჭკაჭიშვილი (პედ. თამარ ციბაძე) გიორგი ჩიხლაძე (პედ. ქ. რატიანი) ქეთევან ჩირგაძე და ბარბარე ფანცხავა (პედ. ზ. ავალიანი)

23 მარტს ქ. თბილისში კომპოზიტორთა სახლში ჩატარდა ბავშვთა და მოზარდთა კლასიკური მუსიკის მე -17 რესპუბლიკური კონკურსი- ფესტივალი „ იპოვე შენი ვარსკვლავი“ , რომელშიც მონაწილეობდა 3 გოგონა და 2 ვაჟი. (პედ. ლელა დვალიშვილი, კონცერტმაისტერი მარიამ ეფრემიძე) ესენია: ლუკა კაჭკაჭიშვილი (პედ. ნინო ვარძელაშვილი, კონცერტმაისტერი ნათია ტუკვაძე) თეკლა კაჭკაჭიშვილი (პედ. თამარ ციბაძე) ილია და ბარბარე მეშველიანები (პედ. დალი ბაკურაძე) ანნა ჩიხლაძე.

27 მარტს ქ. ქუთაისში ჩატარდა კლასიკური მუსიკის მე-18 ეროვნული კონკურს - ფესტივალი.

28 „მომავლის ვარსკვლავები“, რომელშიც მონაწილეობდა 2 გოგონა და 2 ვაჟი.
ესენია: ლუკა კაჭკაჭიშვილი (პედ. ნინო ვარძელაშვილი, კონცერტმაისტერი ნათია ტუკვაძე) ილია და ბარბარე მეშველიანები (პედ. დალი ბაკურაძე) ანნა ჩიხლაძე (პედ. ლელა დვალიშვილი, კონცერტმაისტერი მარიამ ეფრემიძე).

26 აპრილს ქ. ხობში ჩატარდა ფოლკლორული ანსამბლების ფესტივალი, რომელშიც მონაწილეობდა სკოლის ანსამბლი „აისი“ (პედ. ნოშრევან ანთია) 21 ვაჟი და 20 გოგონა.

27 აპრილს ქ. თბილისში სახელმწიფო კონსერვატორიაში ჩატარდა გამარჯვებულთა გალა კონცერტი და დაჯილდოვება. მონაწილეობდა 1 ვაჟი ლუკა კაჭკაჭიშვილი (პედ. ნინო ვარძელაშვილი, კონცერტმაისტერი ნათია ტუკვაძე).

25 მაისს ქ. სენაკში ჩატარდა მე- 12 კონკურს არტ - ფესტივალი . მონაწილეობა მიიღო 3 მა გოგონამ და 1-მა ვაჟმა . ლუკა კაჭკაჭიშვილი, მარინე ჩაკვეტაძე (პედ. ნინო ვარძელაშვილი, კონცერტმაისტერი ნათია ტუკვაძე) ანნა ჩიხლაძემ (პედ. ლელა დვალიშვილი, კონცერტმაისტერი მარიამ ეფრემიძე) ემილია ქუთათელაძე(პედ. დალი ბაკურაძე)

26 მაისს ქ. ქუთაისში გამართულ კონკურსზე რონდო - კლასიკა მიიღო მონაწილეობა 1 მა გოგონამ. ანნა ჩიხლაძემ (პედ. ლელა დვალიშვილი, კონცერტმაისტერი მარიამ ეფრემიძე.)

11 ივნისს მივიღეთ მონაწილეობა ქ. ჭიათურაში ქართული სიმღერის კონკურსში, სულ მონაწილეობდა 1 ვაჟი და 12 გოგონა.

23 ივნისს ქ. ქუთაისში ჩატარდა ლიანა ისაკაძის სახელობის საერთაშორისო კონკურსი, მიიღო მონაწილეობა 1 მა ვაჟმა. ლუკა კაჭკაჭიშვილმა (პედ. ნინო ვარძელაშვილი, კონცერტმაისტერი ნათია ტგუკვაძე).

აღნიშნულ კონკურსებში მონაწილეები არიან პირველი ადგილის, ლაურეატის, დიპლომატის ფლობელები. გარდა აღნიშნული კონკურსებისა ჩატარდა შემდეგი სასკოლო ღონისძიებები:

21 მაისს სკოლაში ჩატარდა პირველი კლასელთა კონცერტი. მონაწილეობა მიიღო სულ 24-მა მოსწავლემ, აქედან 21 გოგონამ და 3 მა ვაჟმა.

30 მაისს ვოკალის პედაგოგმა მარიამ თალაკვაძემ ჩაატარა კლასის კონცერტი, რომელიც შეფასდა დადებითად. (1 ვაჟი და 9 გოგონა).

4 ივნისს სკოლაში ჩატარდა საანგარიშო კონცერტი, რომელშიც სკოლის მოსწავლეთა უმრავლესობამ მიიღო მონაწილეობა, აქედან (24 გოგონა და 7 ვაჟი.)

10 ივნისს საორკესტრო განყოფილების ვიოლინოს პედაგოგმა ნინო ვარძელაშვილმა ჩაატარა კლასის 2 მოსწავლესთან კონცერტი, მარინე ჩაკვეტაძე და ლუკა კაჭკაჭიშვილი. (1 გოგონა და 1 ვაჟი)

20 ივნისს ფორტეპიანოს პედაგოგმა დალი ბაურაძემ ჩაატარა მე-6 კლასის წარჩინებულ მოსწავლესთან ემილი ქუთათელაძესთან სოლო კონცერტი .

30 ივნისს სკოლის საკონცერტო დარბაზში ჩატარდა სკოლის მოსწავლეთა და ქუთაისის სიმფონიური ორკესტრის კამერულ შემადგენლობასთან ერთობრივი კონცერტი.მიიღო მონაწილეობა 4 მა ვაჟმა და 8 გოგონამ.

სამხატვრო სკოლა

მოგახსენებთ, რომ სკოლამ თავისი არსებობის მანძილზე არაერთი ნიჭიერი თაობა აღზარდა. სკოლის აღზრდილები დღეს პროფესიონალი მხატვრები არიან და ეწევიან შემოქმედებით მუშაობას.

სკოლაში ირიცხებოდა 108 მოსწავლე, სწავლა დაასრულა 10 მოსწავლემ. ამოირიცხა 5. კლასიდან კლასში გადავიდა 93 მოსწავლე.

მოსწავლეთა პროფესიულ განათლებას აზიარებს 7 კვალიფიციური პედაგოგი. თითოეული მათგანი ეწევა აქტიურ შემოქმედებით მუშაობას და სათანადოდ ზრუნავს სასწავლო აღმზრდელობითი პროცესის სწორად წარმართვაზე.

მოსწავლეები სამხატვრო სკოლაში ეუფლებიან ხელოვნების სხვადასხვა დარგებს: ხატვას, ფერწერას, კომპოზიციას, ქანდაკებას, დეკორატიულ კომპოზიციას და ხელოვნების ისტორიას.

სამხატვრო სკოლას აქვს ფონდები და საგამოფენო დარბაზები, რომელსაც ემსახურება 5 სპეციალისტი. მათ მიერ მუშავდება თემები გამოჩენილ მხატვართა ,,ცხოვრებისა და შემოქმედების“ შესახებ, რომელთაც თან ერთვის ნამუშევრების ექსპონირება ფართო ეკრანზე რეფერატის სახით. ამასთანავე ხდება ქ. წყალტუბოში მცხოვრებ რეწვის ოსტატთა მოძიება. ნამუშევრების შეგროვება და ფართო საზოგადოებისთვის წარდგენა პოპულარიზაცია.

სამხატვრო სკოლაში სისტემატიურად ტარდება საგაზაფხულო, საშემოდგომო და საშობაო გამოფენები. მათ შორის პერსონალური, თემატური, საქალაქო და გასვლითი ღონისძიებები. სკოლის მოსწავლეები მონაწილეობას ღებულობენ უცხოეთში გამართულ გამოფენა -კონკურსებში.

2025 წლის 29 იანვარს სამხატვრო სკოლაში ჩატარდა თეორიული კონფერენცია თემაზე: ,,ედგარ დეგას ცხოვრება და შემოქმედება“. ღონისძიებას ესწრებოდა 38 მოსწავლე (30 გოგონა, 8 ვაჟი)

2025 წლის 14 თებერვალს სიყვარულის დღესთან დაკავშირებით სამხატვრო სკოლაში ჩატარდა თეორიული კონფერენცია თემაზე: ,,მოდილიანის ცხოვრება და შემოქმედება“. ასევე მოსწავლეებმა წარმოადგინეს თემატური ნამუშევრები. ღონისძიებას ესწრებოდა 56 მოსწავლე. (49 გოგონა, 7 ვაჟი).

2025 წლის 6 მარტს სამხატვრო სკოლის დარბაზში მოეწყო ,,ქალთა დღისადმი“ მიძღვნილი მოსწავლეთა თემატური ნამუშევრების გამოფენა, ღონისძიებას ესწრებოდა 43 მოსწავლე (35 გოგონა, 8 ვაჟი) და მოწვეული სტუმრები.

2025 წლის 14 აპრილს დედა ენის დღესთან დაკავშირებით წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის დარბაზში საჯარო სკოლის მოსწავლეებმა წარმოადგინეს პრეზენტაციები: ქართული ენის წარმოშობის, ენის სიწმინდის დაცვის და დამწეერლობის შესახებ. სამხატვრო სკოლის მოსწავლეების მიერ გამოფენილი იყო კალიგრაფიული ნამუშევრები.(24 გოგონა, 4 ვაჟი) ღონისძიების ბოლოს მოსწავლეებს გადაეცათ დიპლომები აქტიური მონაწილეობისათვის.

2025 წლის 22 აპრილს მოეწყო თემატური გამოფენა ,,დედამიწის დღე“

2025 წლის 14 მაისს გეგუთში თამარის ციხეზე აღნიშნა სახალხო დღსასწაული თამარობა, სამხატვრო სკოლის მოსწავლეებმა ღონისძიების მსვლელობის დროს პლენერზე შეასრულეს თემატური ნამუშევრები ,,ჩემი თვალით დანახული თამარ მეფე“.ღონისძიებაში ჩართული იყო 11 მოსწავლე (10 გოგონა და 1 ვაჟი) 2025 წლის 18 მაისს სამხატვრო სკოლის საგამოფენო დარბაზში მოეწყო თემატური გამოფენა ,,ეროვნული სამოსის დღე.“

2025 წლის 26 მაისს სამხატვრო სკოლის მოსწავლეებმა შექმნეს თემატური ნამუშევრები.

2025 წლის 1 ივნისს სამხატვრო სკოლის საგამოფენო დარბაზში მოეწყო გამოფენა თემაზე: ,,მზე, რომ დახატო უნდა იყო მასავით თბილი“.

2025 წლის 12 ივნისს სამხატვრო სკოლის საგამოფენო დარბაზში მოეწყო მოსწავლეთა შემაჯამებელი გამოფენა, ასევე მოხდა დამამთავრებელი კლასის სადიპლომო ნამუშევრების გამოფენა-შეჯამება. ღონისძიებას ესწრებოდა სამხატვრო სკოლის მოსწავლეები (93 გოგონა, 15 ვაჟი) და მოწვეული სტუმრები.

მოგახსენებთ, რომ 2025 წლის 6 თვეში დაზუსტებული ხარჯები იყო 594074 ლარი. ათვისებულია - 486635 ლარი და 08 თეთრი.

კერძოდ:

1. ხელფასები დამტკიცებულია – 428718 ლარი, ათვისებულია – 402262 ლარი და 14 თეთრი;
2. მივლინების ხარჯი დამტკიცებულია - 2000 ლარი, ათვისებულია - 140 ლარი;
3. საკანცელარიო ხარჯი დამტკიცებულია – 2335 ლარი, ათვისებულია - 2331 ლარი;
4. ნორმატიული აქტები დამტკიცებულია – 500 ლარი, ათვისებულია- 102 ლარი;
5. მცირეფასიანი საოფისე ტექნიკის შეძენა დამტკიცებულია – 5920 ლარი, ათვისებულია - 1094 ლარი;
6. საოფისე ინვენტარის შეძენა დამტკიცებულია – 7140 ლარი, ათვისებულია-1178 ლარი;
7. ოფისის მასალების შეძენა დამტკიცებულია – 3300 ლარი, ათვისებულია - 2511 ლარი და 60 თეთრი.

8. შენობა - ნაგებობის და მათი მიმდინარე რემონტის ხარჯი - დამტკიცებულია - 37597 ლარი, აუთვისებელია;
9. საოფისე ტექნიკის, ინვენტარის, მანქანა-დანადგარების მიმდინარე რემონტის ხარჯი დამტკიცებულია- 1185 ლარი, ათვისებულია - 500 ლარი;
10. კავშირგაბმულობის ხარჯი დამტკიცებულია – 3050 ლარი, ათვისებულია – 1972 ლარი და 62 თეთრი. დაიხარჯა ადგილობრივ ტელეფონზე, ინტერნეტზე და ჯეოსელის მომსახურებაზე;
11. საფოსტო მომსახურეობის ხარჯი დამტკიცებულია - 525 ლარი, აუთვისებელია;
12. კომუნალური ხარჯები დამტკიცებულია – 14140 ლარი, ათვისებულია - 12511 ლარი და 10 თეთრი. დაიხარჯა ელ. ენერგიის და წყლის მომსახურეობაზე.
13. წარმომადგენლობითი ხარჯები დამტკიცებულია- 8364 ლარი,ათვისებულია-8229 ლარი და 20 თეთრი;
14. სამედიცინო ხარჯები დამტკიცებულია - 1200 ლარი, ათვისებულია-250 ლარი;
15. რბილი ინვენტარის,უნიფორმის შეძენის ხარჯი - დამტკიცებულია - 2500 ლარი, ათვისებელია-650 ლარი;
16. ტრანსპორტის დაქირავების ხარჯი დამტკიცებულია – 7500 ლარი, ათვისებულია-7150 ლარი;
17. კადრების მომზადება-გადამზადებასთან, კვალიფიკაციის ასამაღლებელი ხარჯი დამტკიცებულია-2340 ლარი, ათვისებულია - 1170 ლარი;
18. აუდიტორიული მომსახურების ხარჯი დამტკიცებულია - 925 ლარი, აუთვისებელია;
19. საარქივო მომსახურეობის ხარჯი დატკიცებულია-1000 ლარი, ათვისებულია-84 ლარი;
20. შენობა-ნაგებობების დაცვის ხარჯი დამტკიცებულია - 2100 ლარი, ათვისებულია- 1350 ლარი;
21. კულტურული ღონისძიებების ხარჯი დამტკიცებულია – 30500 ლარი, ათვისებულია 30378 ლარი;
22. ფინანსთა ასოციასიის საწევრო დამტკიცებულია-4000 ლარი, ათვისებულია -4000 ლარი;
23. სამკინძაო დამტკიცებულია - 525 ლარი, აუთვისებელია;
24. ელექტრონული დოკუმენტების ხარჯი დამტკიცებულია 660 ლარი, ათვისებულია 557 ლარი და 19 თეთრი;
25. სხვადასხვა მასალების ხარჯი დამტკიცებულია 5000 ლარი, ათვისებულია-150 ლარი;
26. დაცვის სისტემის შეკეთების ხარჯი დამტკიცებულია-400 ლარი, ათვისებულია-163 ლარი და 87 თეთრი;
27. სოციალური უზრუნველყოფის ხარჯი დამტკიცებულია – 4050 ლარი, ათვისებულია -2410 ლარი და 36 თეთრი;
28. არაფინანსური აქტივების ზრდა დამტკიცებულია 16600 ლარი, ათვისებულია - 5490 ლარი.

მომავალში „ბავშვთა და ახალგაზრდობის ცენტრის” მთავარი საზრუნავი, კვლავ ბავშვებისა და ახალგაზრდების იდეური ფორმირება, მორალურ-ზნეობრივი სრულყოფა, სულიერი წრთობა, მათი ეროვნულ პატრიოტული სულისკვეთებით აღზრდა იქნება. მოსწავლე-ახალგაზრდობის მუსიკალური, სპორტული, სახვითი ხელოვნების ნიჭიერების უნარისა გამოვლენისა და განვითარებისათვის, მიზნადაა დასახული კიდევ უფრო მეტი შემეცნებითი ახალი ღონისძიებების მომზადება-ჩატარება, ახალი აქტივობების ძიება და სააღმზრდელო საქმიანობაში მათი პრაქტიკული დანერგვა სახელმწიფო საგრანტო ახალი პროექტების მომზადება.

მთავარ პრიორიტეტად კვლავ რჩება ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება და თანამედროვე ინვენტარით და ტექნიკით აღჭურვა, სამუსიკო და სამხატვრო სკოლების, მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის სასწავლო-სამეცადინო ოთახების, სააქტო და საგამოფენო დარბაზების კეთილმოწყობა, რაც შესაძლებელს გახდის ჩვენმა ქალაქმა უმასპინძლოს სხვადასხვა საბავშვო ფესტივალებს და კონკურსებს. მოხდეს მეტ გაცვლით პროგრამებში ჩართულობა.